



# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება

N 3  
18/02/2021

3-0-4-202102181032



### სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021 -2024 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის, საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-6 მუხლისა და საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021-2024 წლების სტრატეგია დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე